ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

19 დეკემბერი
სუთშაბათი
2024 წელი
№51 (9365)
ფასი 40 თეთრი

ვულოცავთ!

14 დეკემბერს პარლამენტის შენობაში ჩატარებული კენჭისყრის შედეგად 224-მა დელეგატმა პრეზიდენტად არაპირდაპირი გზით აირჩია „ქართული ოცნების“ მიერ დასახელებული ერთადერთი კანდიდატი, მეცხრე-მეათე მოწვევის პარლამენტის წევრი **მიხეილ უაპელაშვილი**.

29 დეკემბერს გაიმართება ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია.

საქართველოს მთავრობის განცხადება

როგორც ცნობილია, ლიეტუვისა და ესტონეთის მთავრობებმა მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოს ხელისუფლების ოცამდე წარმომადგენლისთვის, მათ შორის საქართველოს პრემიერ-მინისტრისთვის სანქციების დაწესების თაობაზე.

საქართველოს ხელისუფლებას აქვს უფლება და შესაძლებლობა, ლიეტუვისა და ესტონეთის მთავრობების აღნიშნულ ანტიქართულ გადაწყვეტილებას შემხვედრი ზომები დაუპირისპიროს. თუმცა, ლიეტუველი და ესტონელი ხალხის პატივისცემის გამო, ამგვარი ნაბიჯის გადადგმა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ჩვენი გადაწყვეტილებაა, ორივე სახელმწიფოსთან დავრჩეთ ცალმხრივი მეგობრობის რეჟიმში, რათა ჩვენი მხრივ არ შევუქმნათ საფრთხე ტრადიციულ მეგობრობას ქართველ, ესტონელ და ლიეტუველ ხალხებს შორის.

ფართოდ არის ცნობილი, რომ ესტონეთი და ლიეტუვა არიან სახელმწიფოები, რომლებსაც ევროკავშირის მასშტაბით დღეს ყველაზე მეტად აქვთ შეზღუდული სუვერენიტეტი და რომელთა მთავრობები არა საკუთარი ხალხის ინტერესების შესაბამისად, არამედ უცხო ქვეყნის ადმინისტრაციის კარნახით მოქმედებენ. სწორედ ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ აღნიშნული სახელმწიფოების მთავრობები იძულებულნი არიან, საკუთარი ღირსების წინააღმდეგ იმოქმედონ. სამწუხაროა, რომ დამოუკიდებლობის 33-წლიანი ისტორიის მიუხედავად, ლიეტუვისა და ესტონეთის ხელისუფლებებმა საბჭოურ მენტალიტეტს დღემდე ვერ დააღწიეს თავი.

ჩვენს მეგობარ ესტონელ და ლიეტუველ ხალხებს ვუსურვებთ სუვერენიტეტის განმტკიცებას და ყოველივე საუკეთესოს 2025 წელს!

გვახსოვდეს მწერლის შეგონება



„ქვეყნის სიყვარულს საყველაურად და საარშიყოდ ნუ გაიხდით, სამშობლო როსკიპი ქალი არაა, მთვრალს რომ მოგენატრება და მაშინ გაიხსენებ. სამშობლო ტაძარია სალოცავი. მუხლზე დაჩოქილი უნდა იდგე მის საკურთხეველთან, ცალი ხელით პირჯვარს უნდა იწერდე, მეორეთი კი ხმალს იქნევდე, ეშმაკები რომ არ დაეპატრონონ... და კიდევ ერთი, შესანირავის მიტანა ვერავინ ვერ უნდა მოგასწროს ამ ტაძართან“.

ნოდარ დუმბაძე

25 დეკემბერი წმინდისა და უნეტარესის ილია II-ის აღსაყდრების დღეა!

შენს საქებელად, სიტყვა უძლურ არს, სიტყვა ამაო,
დედამიწაზე უკვე წმინდანო, მადლობა უფალს შენთვის მამაო,
დაბნეულ ცხვრებს რომ მწყემსი კეთილი საფრთხისგან იცავს,
მგლისგან სერისა,
სამშვიდობოზე გზას გაუყენებს, ისე გამოჩნდი მხსნელად ერისა.
ხევის ქარაფებს, მთის წმინდა პაერს, შენ ბუნებაში დაუდევს ბინა.
სიმტკიცის გვერდით, სათუთი გული, სულის სინაზე, ვინ დაგიდგინა...
შენი ლოცვა და შენი ვედრება, ჩვენს მრავალტანჯულ, მართალ ერს იცავს,
ბევრსაც ეცადნენ, ვერ მოგერიენ, შენ ხომ თვით ღვერთი, უფალი გიცავს.
გულიც გატკინეს, ვერ შეგარყიეს, დაცემულთ, ულირსთ შეგადარესო,
შენი მადლი და შენი დალოცვა, ყველა კუთხეს და ყველა მხარესო.
დიდხანს გვიძღოდე, ტკბილო მოძღვარო, უწმინდესო და უნეტარესო!

ოლიკო ლომიძე.

სიტყვა ეკუთვნის მოძღვარს

ვლოცულობ მშვიდობის დასადგურებისათვის

მოგესალმებით მეგობრებო და სულიერო შვილებო. უკვე რამდენიმე დღეა არ წყდება შეკითხვები ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. რა გითხრათ, რით გაგახაროთ? ჩვენი გული მწუხარებით არის სავსე. ადრეც გვეკითხებოდნენ ე.წ. აგენტების კანონის შესახებ, რომელიც პაკეტურად იყო წარმოდგენილი და აგენტების საკითხს ზნეობრივიც მიაბეს. ვერ გეტყვით, საბოლოო ჯამში ეს რა იყო, გულუბრყვილო, მიზანმიმართული თუ კეთილგანზრახული სამართალქმედება, რაც ზნეობისა და სახელმწიფოს განმტკიცებას უნდა მოხმარებოდა. ალბათ, იმასაც იმედოვნებდნენ, რომ ამას ეკლესიის თანადგომაც უნდა მოჰყოლოდა. ეკლესია, როგორც ვიცით, არ არის პირდაპირ მოწოდებული პოლიტიკური საკითხების განხილვა-გადაჭრისათვის და დრო გვიჩვენებს, თუ რაოდენ საჭირო და მიზანშეწონილი იყო ამ კანონის მიღება სახელმწიფოსა და ზნეობის განმტკიცებისათვის და ღირდა თუ არა ამის გამო ხალხის ესოდენი ურთიერთდაპირისპირება. ზნეობასა და სულიერებას რაც შეეხება, ეს სულ სხვა სამოღვაწეო სფეროა და აქ სამართლებრივი აქტით, კეტითა თუ გურზით ბევრს ვერაფერს გახდები. ეკლესიამ პირველ საუკუნეებში გამოიარა ყველანაირი სამართლებრივი და ზნეობრივი წნეხი დაცემული და გახრწნილი წარმართული სამყაროსაგან და ამას არა მხოლოდ გაუძლო და გადარჩა, არამედ ეს გახრწნილი სამყაროც ამოიყვანა ხრწნილების ჭაობიდან და ქრისტეს ნათელს აზიარა. რაც შეეხება იმ საკითხს, რომ ამ კანონს საზოგადოების ნაწილმა რუსული უწოდა, მართლაც ბადებს რუსული ყოფა-ქმედების ასოციაციებს. პირველ რიგში იმით, რომ ნებისმიერ კანონს უკუძალაც აქვს, რითაც შეიძლება შემდეგი რუსული რეალობა წარმოჩინდეს: ხშირად გაუკეთებიათ რუსულ სპეცსამსახურებს, რომ საკუთარი აგენტი დაუსჯელი უზნეობის გამავრცელებლად უქცევიათ და პირიქით, უზნეო ადამიანი აგენტად გაუხდიათ და სხვადასხვა მანქანებით კანონიერი ძალაუფლების ხარისხში აუყვან-წარმოუჩენიათ. ამით კი ორმაგი ხრწნილება შეუტანიათ საზოგადოებაში - სამოქალაქო-სახელმწიფოებრივიც და ზნეობრივიც. ასე რომ, ვითომცდა ამდაგვარი ორმაგი დაცვა ორმაგ დაქცევად უქცევიათ და ამ საკითხში რუსებს ბადალი არ ჰყავთ დედამიწის ზურგზე. ამის მაგალითები ერთი ხელის გაწვდენაზეა. იმედი ვიქონიოთ, რომ ამას ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ჩვენთან ვერ მოახერხებს, როგორც ამას ახერხებდა და დღესაც ახერხებს პლანეტარული მასშტაბით და მათ შორის აღმოსავლეთ ევროპის რიგ მართლმადიდებელ ქვეყნებშიც კი.

რაც შეეხება დღევანდელ ვითარებას, თავიდანვე უნდა ითქვას, რომ დღეს რუსთაველზე მდგომი ხალხი და ძირითადად ახალგაზრდობა სულაც არ არის ფერადი რევოლუციის და, ამ შემთხვევაში, ე.წ. ცისფერი რევოლუციის მოსახდენად გამოსული, როგორც ამის წარმოჩენას გარკვეული პროპაგანდა ცდილობს. იქ დგანან ჩვენი მეგობრები, მრევლი, ოჯახის წევრები და ამ ქვეყნის ნათელი მომავლისათვის მოფიქრალ-მომუშაკე ხალხი. არ არის გამორიცხული, რომ ამდენ ხალხში შეუფერებელი საქციელის ხალხიც ერიოს, ისევე როგორც სამართალდამცავებში ვხედავთ ჩვენს მეზობლებს, მეგობრებსა თუ სულიერ შვილებს, სახელმწიფო სამსახურის გამო, თუმცა პირდაპირ უნდა გავემიჯნოთ იმ ე.წ. სამართალდამცველებს, რომელთა ქმედებაც მხოლოდ მარბიელი რუს-კაზაკების ეგზეკუციას გვაგონებს. ერი და ქვეყანა დიდი განსაცდელის წინაშე დგას და ამ მდგომარეობით მხოლოდ ჩვენი მტერი ხარობს და პირველ რიგში ის, ვისაც ქვეყნის 20 პროცენტი აქვს ოკუპირებულ-მიტაცებული. ალბათ დროა გამოსავლის ძიებისა და ჩვენი მომავლის გადარჩენისა. თუკი ეს გამოსავალი რიგგარეშე არჩევნების ჩატარებაა, მშვიდობისა და ერთობის შესანარჩუნებლად, ის უნდა ჩატარდეს, დემოკრატიული პრინციპიდან გამომდინარე, რასაც ოფიციალურად აღიარებს ჩვენი სახელმწიფო მოწყობა. თუკი არსებობს სხვა, უკეთესი გამოსავალი, ესეც სამსჯელო და გადასაწყვეტია. მე პირადად მომიწია 9 აპრილს იმ რუსული საბჭოთა ტანკების წინაშე დგომა და სხვადასხვა სირთულეებთან ერთად ეს მოტივაციურად იოლიც იყო, რადგან ჩვენს წინ ჩვენი მტერი იდგა. ახლა ხომ სხვა რეალობა გვაქვს, ჩვენ გვაქვს ჩვენი სახელმწიფო, რომელსაც გაფრთხილება ჭირდება, როგორც მომიტინგეთა მხრიდან, ასევე პირველ რიგში სახელმწიფოს სხვადასხვა სამსახურების წარმომადგენლებისგან და პირველ რიგში ძალოვანებისგან, ამ ძალოვანთა ქმედება სწორედ რომ ღირსებით უნდა იყოს სავსე და არ უნდა ჰგავდეს მარბიელ და მოთარეშე დაჯგუფებების განუკითხაობას. ჩვენ, და ამ შემთხვევაში პირადად მე, როგორც ერთ-ერთი რიგითი სასულიერო პირი და ქართველი, ჩემი სამსახურებრივი მოვალეობიდან გამომდინარეც მზად ვარ ჩავდგე მომიტინგეებსა და პოლიციას შორის, ვიდრე ამა ქვეყნის მესვეურნი და ძლიერნი რაიმე ხელშესახებ გამოსავლს მოძებნიან. თუკი რაიმეა მოსახვედრი, ეს ისევ მამების თაობამ უნდა მიიღოს და მოიხვედროს, რათა ახალგაზრდობა გადავარჩინოთ სულიერ-ხორციელ დასახიჩრებას საკუთარი შეგნებული ცხოვრების გზის დასაწყისში. სხვა მხრივ კი, რაც ჩვენი უპირველესი მოვალეობაა, ვლოცულობ მშვიდობის დასადგურებისათვის, როგორც ქვეყანაში, ასევე ადამიანთა გულებში.

არქიმანდრიტი იერომიელი

20 დეკემბერს, 19:00 საათზე, ბორჯომში, მერაბ კოსტავას სახელობის სკვერში, მთავარი ნაძვის ხე და საახალწლო ილუმინაციები საზეიმოდ აინთება.

რას გვასწავლის ისტორია?!

არჩევნებიდან არჩევნებამდე

2024 წლის 26 ოქტომბერს, საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში, პარლამენტის არჩევნები მეათედ ჩატარდა და ყველა განვლილ არჩევნებთან შედარებით მშვიდობიან ატმოსფეროში გაიმართა. პირველ ადგილზე გასულ ,,ქართულ ოცნებას“ ამომრჩეველთა 54 პროცენტმა დაუჭირა მხარი და 89 დეპუტატი პარლამენტის უმრავლესობაშია, ხოლო ოთხმა ოპოზიციურმა კოალიციამ 61 დეპუტატი შეიყვანა პარლამენტში. სამწუხაროდ, რადიკალური ოპოზიცია კატეგორიულად მოითხოვს არჩევნების ხელმეორედ ჩატარებას და ხმამაღლა აცხადებს, ხელისუფლებამ არჩევნები მოგვპარა და თავიდან უნდა ჩატარდესო, მაგრამ რა იგულისხმება ხმების მოპარვაში ან არჩევნების უკანონოდ მითვისებაში, ამას არ ამბობენ და არც ფაქტებს ასაჯაროებენ. სულ ახლახანს საპარლამენტო ოპოზიციურმა პარტიებმა სარჩელი შეიტანეს საკონსტიტუციო სასამართლოში, მაგრამ ამ უკანასკნელმა ოპოზიციონერთა სარჩელი არ მიიღო განსახილველად, რისთვისაც მომჩივანებმა დააანონსეს ,,მშვიდობიანი აქციების“ გამართვა. ამ საქმეს სტუდენტები ჩაუდგნენ სათავეში და სულ მალე თავისუფლებისა და სამართლიანობის დროშა საჯარო სკოლების მოზარდებს გადააბარეს, რომლებიც ერთი კვირის მანძილზე მიზანმიმართულად ორ ფრონტზე იბრძოდნენ - ანგრევდნენ პარლამენტის შენობას და შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლებს გაუმართეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა.

სამწუხაროდ, იმასაც ვიტყვი, რომ განვლილი 34 წლის მანძილზე არცერთი არჩევნები არ ჩატარებულა ერთსულოვნების ატმოსფეროში.

მოდით გავიხსენოთ როგორ იყო თავისუფალ საქართველოში არჩევნების ჩატარების პერიპეტიები.



არჩევნები საქართველოში 1990 წელს

პირველი მრავალპარტიული არჩევნები დიდი პოლარიზაციის ფონზე ჩატარდა. პოლიტიკური ძალები ზვიად გამსახურდიას და გია ჭანტურიას მომხრე-მოწინააღმდეგეებად იყვნენ გაყოფილნი (1990 წლის სექტემბერში ზვიად გამსახურდიას მოწინააღმდეგეებმა ალტერნატიული არჩევნები ჩაატარეს, მაგრამ იმ არჩევნებმა ლეგიტიმაცია ვერ მოიპოვა).

1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები გაიმართა.

პარლამენტი 250 წევრისაგან შედგებოდა (125 პროპორციული და ამდენივე მაჟორიტარი დეპუტატი). არჩევნებში მონაწილეობდა დაახლოებით 2,5 მილიონი ამომრჩეველი

სამწუხაროდ, ეს არჩევნები ერთადერთია, რომელიც საქართველოს მთელს ტერიტორიაზე გაიმართა, ბარიერი 4-პროცენტიანი იყო, არჩევნებში ზვიად გამსახურდიას ბლოკმა ,,მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“ 115 მანდატი მოიპოვა.

პარლამენტმა ისტორიული მისია შეასრულა, 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა, თუმცა პარლამენტმა ვერ შეასრულა ძირითადი ფუნქცია და ხშირად პოლიტიკური პროცესები სხდომათა დარბაზის ნაცვლად ქუჩაში იმართებოდა. დაძაბულმა ვითარებამ სამოქალაქო ომი გამოიწვია, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება დაამხეს და პირველმა პარლამენტმა არსებობა ვადაზე ადრე შეწყვიტა.

„იმედის“ პარლამენტი

1992 წელს საქართველოში სამოქალაქო ომი და ომი აფხაზეთში თითქმის ერთდროულად დაიწყო. ქვეყანას არალეგიტიმური ხელისუფლება მართავდა, რომლის მთავარი მიზანი იყო საქართველოს ჰყოლოდა ლეგიტიმური ხელისუფლება, რომელიც საზღვარგარეთის ქვეყნებთან დაამყარებდა ურთიერთობას, რათა ქაოსში ჩაძირულ ქვეყანას დახმარებოდნენ. ეს იყო ქვეყნისათვის უკიდურესად მძიმე და არაორდინალური წლები.

1992 წლის 11 ოქტომბერს ჩატარებულ არჩევნებს ,,იმედის“ არჩევნები უწოდეს. დაწესდა 2-პროცენტიანი ბარიერი, არჩევნებში მონაწილეობდა 2,5 მილიონი ამომრჩეველი.

ყველაზე მეტი 19 ხმა მიიღო ბლოკმა ,,მშვიდობამ“. ბლოკს ხელმძღვანელობდა **ედუარდ შევარდნაძე.**

პარლამენტში მოხვდა 26 პარტია, ეს იყო საქართველოს ისტორიაში ყველაზე მრავალპარტიული საკანონმდებლო ორგანო.

პარლამენტის თავმჯდომარედ და სახელმწიფოს მეთაურად ედუარდ შევარდნაძე აირჩიეს. პარლამენტი იმ წლებში ყოფილ ,,იმელის“ შენობაში განთავსდა, რადგან პარლამენტის შენობა სამოქალაქო ომს შეეწირა.

ახალი არჩევნები და ახალი კონსტიტუცია

1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ქვეყნის ახალი კონსტიტუცია. 11 ნოემბერს დაინიშნა საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები. არჩევნებში მონაწილეობდა 2118 ათასი ამომრჩეველი. დადგინდა 5-პროცენტიანი ბარიერი, რომელიც სამმა პარტიამ გადალახა. დეპუტატები მაჟორიტარული სისტემით მოხვდნენ პარლამენტში.

არჩევნებში ედუარდ შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირმა“, აჭარის ,,აღორძინებამ“, ,,ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ“ პარლამეტის თავმჯდომარედ ზურაბ ჟვანია, ხოლო ქვეყნის პრეზიდენტად ედუარდ შევარდნაძე აირჩიეს.

ქვეყნის განვითარების არჩევნები

1999 წელს ჩატარებული არჩევნების სლოგანი იყო ,,**სტაბილურობიდან ეკონომიკურ კეთილდღეობამდე“.** აქცენტი სოციალური პრობლემების გადაწყვეტაზე კეთდებოდა.

საარჩევნო ბარიერი იმ წელს 7-პროცენტიანი დაწესდა. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 2,9 მილიონი შეადგინა. არჩევნებში მონაწილეობდა ორმილიონამდე ამომრჩეველი.

,,მოქკავშირმა“ - 131 მანდატი, აღორჩინებამ - 58, ,,ლეიბორისტებმა - 16 მანდატი მიიღეს.

პარლამენტის თავმჯდომარედ კვლავ **ზურაბ ჟვანია** აირჩიეს, ხოლო ქვეყნის პრეზიდენტად **ედუარდ შევარდნაძე.**

„ვარდების რევოლუციის“ არჩევნები

მომდევნო არჩევნები 2003 წელს გაიმართა, რომელსაც ,,ვარდების რევოლუცია“ მოჰყვა, უზენაესმა სასამართლომ არჩევნების შედეგები ნაწილობრივ (პროპორციული) გააუქმა, ხოლო მაჟორიტარული უცვლელად დატოვა. ამ წელს პოლიტიკურ არენაზე გამოჩნდა **მიხეილ სააკაშვილი**, რასაც მოჰყვა სახელმწიფოს გადატრიალება ,,ვარდების რევოლუციის“ სახელით.

2004 წლის 28 მარტს არჩევნები ხელახლა გაიმართა, რომლის ფავორიტი მიხეილ სააკაშვილის ,,ნაცმოძრაობა“ იყო. ნაციონალებმა 152 მანდატი მოიპოვეს, ,,მემარჯვენე ოპოზიციამ“ - 23, დანარჩენებმა - 60 მანდატი მიიღეს. პარლამენტის თავმჯდომარედ **ნინო ბურჯანაძე** აირჩიეს.

ყველაზე სკანდალური არჩევნები

2008 წლის 21 მაისის არჩევნების წინ პოლიტიკური სიტუაცია ერთობ დაძაბული იყო, რომელსაც წინ უსწრებდა 7 ნოემბრის სისხლიანი მოვლენები, რის გამოც ხელისუფლება იძულებული გახდა არჩევნები არა 2008 წლის შემოდგომაზე, არამედ 2009 წლის გაზაფხულზე გაემართა (პლებიცისტს ამომრჩეველთა 60 პროცენტზე მეტმა დაუჭირა მხარი).

არჩევნებში გაერთიანებული ოპოზიცია (თავმჯდომარე ლევან გაჩეჩილაძე) 9 პოლიტიკური პარტიით იღებდა მონაწილეობას. არჩევნებში ნაცმოძრაობამ 119 მანდატი მიიღო, გაერთიანებულმა ოპოზიციამ 17, ქრისტიან-დემკრატებმა - 6 და ა.შ. ეს არჩევნები იყო სერიოზული ხარვეზებით დამუხტული, დაფიქსირდა უამრავი დარღვევა. მიუხედავად ამისა, არჩევნებში ,,ნაცმოძრაობა“ დარჩა გამარჯვებული. გაერთიანებულმა ოპოზიციამ პარლამენტში შესვლაზე უარი განაცხადა. პარლამენტის თავმჯდომარედ **დავით ბაქრაძე** აირჩიეს.

„ქართული ოცნების“ გამარჯვება

2012 წლის 1 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნები პირველი იყო საქართველოს ისტორიაში, როდესაც მმართველი პარტია დამარცხდა, ყოველგვარი გადატრიალებისა და რევოლუციის გარეშე.

ბიძინა ივანიშვილმა დიდი უპირატესობით გაიმარჯვა მიხეილ სააკაშვილის ,,ნაცმოძრაობაზე“, თუმცა ხელისუფლება ღიად დევნიდა და ავიწროვებდა ,,ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს. საბოლოოდ ,,ქართულმა ოცნებამ“ 85, ხოლო ,,ნაცმოძრაობამ“ 65 მანდატი მიიღო. პარლამენტის თავმჯდომარედ **დავით უსუფაშვილი** აირჩიეს, ხოლო **მიხელ სააკაშვილმა** ამერიკელების ზეწოლით დამარცხება აღიარა.

ყველაზე მშვიდი არჩევნები

2016 წელს ჩატარებული არჩევნები მრავალმხრივი ინციდენტის მიუხედავად, თავისი მნიშვნელობით ყველაზე გაწონასწორებული იყო. ,,ქართულმა ოცნებამ“ - 115 მანდატი, ,,ნაცმოძრაობამ“ - 27, ,,პატრიოტთა ალიანსმა“ - 6 მანდატი მოიპოვა. პარლამენტის თავმჯდომარედ **ირაკლი კობახიძე** აირჩიეს.

2020 წლის ვაი-არჩევნები...

2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ოპოზიციამ უარი განაცხადა პარლამენტის სხდომებზე დასწრებაზე და ხელახალი არჩევნების ჩატარებას ითხოვდა. ბოიკოტი თითქმის ოთხი წელი გაგრძელდა. ოპოზიციას არანაირი წვლილი არ შეუტანია საპარლამენტო მუშაობაში, (საკითხავია, ხელფასს თუ იღებდნენ უსაქმურობაში).

IX პარლამენტში ,,ქართულ ოცნებას“ - 90 მანდატი, ,,ნაცმოძრაობას“ - 36, ,,ევროპულ საქართველოს“ - 5, ,,გირჩს“ 4, ,,მოქალაქეებს“ - 2 მანდატი ქონდა. პარლამენტმა რამდენიმე თავმჯდომარე გამოიცვალა, ბოლოს ამ მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობას **გიორგი პაპუაშვილი** ღირსეულად გაუძღვა.

ოპოზიცია ახალ არჩევნებს ითხოვს

პარლამენტის მეათე საიუბილეო მოწვევის არჩევნები 2024 წლის 26 ოქტომბერს გაიმართა. ამჯერად არჩევნები (მეტად პროგრესული) ელექტრონული წესით ჩატარდა, სადაც დარღვევები თითქოს გამორიცხულია. არჩევნებში ორმილიონზე მეტმა ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა. ცესკომ არჩევნებში გამარჯვებულად ,,ქართული ოცნება“ გამოაცხადა, მაგრამ ოპოზიცია საპარლამენტო მუშაობაში დღემდე მონაწილეობას არ ღებულობს. დაიწყო საპროტესტო აქციები და ამჯერად ხელისუფლების დამხობისათვის ემზადებიან. როგორი ახალი წელი გაგვითენდება ქართველებს, ჯერჯერობით გაურკვეელია. ღმერთს შევთხოვთ, იქნებ ამჯერად მაინც გაუხსნას გონება რადიკალურ ოპოზიციას და სისხლისღვრის გარეშე დაამთავრებინოს ე.წ. ,,მშვიდობიანი“ აქციები. იქნებ ამჯერად მაინც ერთხელ და სამუდამოდ დამყარდეს მშვიდობა ჩვენს ბედკრულ სამშობლოში.

საპარლამენტო არჩევნების მასალები მოიძია ვალერიან ლომიძემ.

აქციების კვალდაკვალ

საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა საგანგაშოა!

რამდენიმე კვირაა ქვეყნის მთავარ მოედანზე არ წყდება საპროტესტო ტალღა. მომიტინგეთა მთავარი ობიექტი პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებია. სამწუხაროდ, ბოლო დღეებს თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ აქციაზე გამოსული მომიტინგეების ქმედება სრულიად ცდება ცივილურ ფორმებს, რადგან ნათლად ჩანს, რომ ისინი უკიდურესი აგრესიით გამოირჩევიან. მათ არც რიგითი ადამიანები აინტერესებთ და არც იმ კერძო პირების ინვენტარი, რომელიც რუსთაველის პროსპექტზე დააზიანეს. სოციალურ ქსელში გავრცელდა კადრები, სადაც ჩანს, თუ როგორ დაწვეს მაცხოვრის გამოსახულებიანი კუბო, სადაც ბიძინა ივანიშვილის ფიტული იყო მოთავსებული და თან ეს ყველაფერი იმ კონკრეტული ადგილის სიახლოვეს მოხდა, სადაც ქვეყნის მთავრი სადღესასწაულო ნაძვის ხეა დამონტაჟებული. გაზეთი ბორჯომი დაინტერესდა, რას ფიქრობენ ბორჯომში მცხოვრები მოქალაქეები ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე. ჩვენ სხვადასხვა ასაკის ადამიანები გამოვკითხეთ:

ელენე ხუციშვილი: - რა გითხრათ? რით გაგახაროთ? კარგით ვერაფრით - სამწუხაროდ. ჩემთვის მართლა შემზარავი იყო ბოლო კადრები და ის მარაზმი, რაც მომიტინგეებმა ჩაიდინეს. სატანისტურ რიტუალს უფრო გავდა, ვიდრე ვიღაცის მიმართ ნიშნის მოგებით გამართულ ქმედებას. რას გავს მათი საქციელი? ან უფლის არ სწამთ, ან მოყვასის სიყვარული სად არის, ან ქვეყნის და საერთოდ, რომელ ევროპაზე ვსაუბრობთ? შვილმა დედა შეიძულა, დამ ძმა, ბიძაშვილმა ბიძაშვილი და როცა ყველაფერი დასრულდება ადრე თუ გვიან, რატომ არ ფიქრობენ იმაზე, რომ ერთმანეთის შერცხვებათ? მაგრამ როგორც ჩანს მიზანმიმართულად სჩადიან ყოველივეს და ესაა სწორედ ყველაზე დიდი საშინელება.

ვალერი გოგოლაძე: - რას უნდა ვფიქრობდე ცუდისა და ნეგატიურის მეტს? ყველანაირ საზღვრებს გასცდა მომიტინგეების საქციელი. ტელევიზორის ჩართვა აღარ მინდა. ასევე არ მინდა სოციალურ ქსელში შესვლა. შეიძლება მოგეწონოს ის ყოველივე, რაც რუსთაველის მოედანზე ხდება? არამც და არამც.

ვალიდა მექერიშვილი: - რამდენიმე დღეა ბორჯომში ჩამოვედი, თბილისში სრული ქაოსია. მეტროში სრული საგიჟეთია. სიბოროტე მძვინვარებს. ასეთი გამწარებული ხალხი დიდი ხანია არ მინახავს, მთელი ერი პოლიტიზირებულია. ჯერ ის რომ არჩევნების შედეგებმა გააღიზიანა მოსახლეობა და ახლა კიდევ 2030 წლამდე მიღებულმა გადაწყვეტილებამ. სიმართლე გითხრათ, ვერც მთავრობას ვამტყუნებ, რადგანაც დაიღალენ ხვეწნის რეჟიმში. ეს შეასრულე, ის შეასრულე, პამპულებივით ათამაშებენ და სხვა გზა არ დაუტოვეს გამოეთიშნენ მავანთა თამაშს, თუმცა არც ხალხის ასეთი აგრესია მსიამოვნებს, ყველას ერთნაირი დალაგებული ფსიქიკა არ გვაქვს, ამიტომაც ჯობია, ფრთხილად ვიმოქმედოთ.

ვიქტორ ბერიანიძე: - ჩემი შეგნებული ცხოვრების მანძილზე უამრავი არჩევნები გამოვიარე და მე მთავრობის კმაყოფილი არც ერთი მოქალაქე არ მინახავს. დავინახეთ, რომ აქციების პირველ დღეებში ოპოზიციური პარტიების ლიდერები გამოვიდნენ, თუმცა ბოლო დღეების მანძილზე თუ დავაკვირდებით, რაც იქ ხდება, ეს ლიდერები ფაქტიურად გაქრნენ. მხოლოდ ჩვეულებრივ რიგით მოქალაქეებს შეატოვეს ყველაფერი. საქართველოს ისტორიას თუ გადავხედავთ, 9 აპრილის მოვლენებსაც ჩვეულებრივი, რიგითი მოქალაქეები შეეწირნენ. არც ე.წ. ოპოზიციას არ უნდა თვითონ იყოს რაღაცის ან ვიღაცის მსხვერპლი. მე იმაზე ვარ გაოცებული, რომ დღეს ბევრი ნაციონალი ოცნებაშია და ზოგი ოცნების მომხრე კვლავ ნაციონალებშია. ჰოდა, ვინ ვისი ოპოზიციაა და ვინ რას ჩივის და საერთოდაც რას აპროტესტებენ, მგონი თვითონაც აღარ იციან.

თამარა გალდავა: - რა ვთქვა, არ ვიცი. გული ლამის გამისკდეს, რასაც ვუყურებ. ჩემი ახლობლების შვილებში ბევრი სტუდენტია. მშობლები შეშინებულები არიან, მათი შვილებიც აქციებზე დგანან. რასაც კადრებში ვხედავ, ბევრი ახალგაზრდა თავშეკავებულია. ზოგი ისე თამამად გამოდის და სამართალდამცავებთან იმდენად ამორალურად იქცევა, რომ ყველანაირ ზღვარს სცილდება მართლაც მათი ქმედება. სამართალდამცავებიც ადამიანები არიან. როგორია, პიროტექნიკა პირდაპირ ესროლო გამიზნულად და არ გადარდებდეს რა დაემართება იმ ადამიანს? დიახ, დღეს რომ საქართველოს პოლიცია არბევს მომიტინგეებს, იმ ადამიანებიდან ბევრი 2008 წლის ომში რუსებს ებრძოდა. გამოდიან და გაიძახიან, რომ არ გვინდა რუსეთი. კითხვა მაქვს. რუსეთი საქართველოდან სადმე წასულა? არსად. ყურის ძირში დგანან და თუ მოესურვებათ, შემოვლენ და აგვაოხრებენ კიდეც. გეოპოლიტიკურ მდგომარეობას რას ვუზამთ კი მაგრამ? ამდენი მოსაზღვრე მეზობელი რომ ყავს ჩვენ ქვეყანას? არც სასომხეთი გვინდოდეს, არც აზერბაიჯანი და ვიყოთ მხოლოდ ჩვენთვის ერთ ნაჭუჭში მოქცეულები. ევროპაში წასვლას არავინ გიშლით. ახლა საზღვრები ღიაა და ქვეყნიდან გასვლა ხალხს არ უჭირს, ასეთი ვითარება ხლების წინ არ მახსოვს მე პირადად.

გამოკითხა ნატალია მესხელმა

მიწის რეგისტრაცია გრძელდება

მიწის რეგისტრაციის პრობლემებზე არაერთი საგაზეთო წერილის მიუხედავად მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, ერთხელ კიდევ გავამახვილოთ ყურადღება და გავაკეთოთ დასკვნა, ამომწურავი პასუხი მივიღოთ, თუ რა კეთდება პრობლემის გადასაწყვეტად ჩვენს მუნიციპალიტეტში. ამ მიზნით მივმართეთ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწეს სოფლის მეურნეობის დარგში, საქართველოს გარემოსდაცვითი და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საზედამხედველო კომიტეტის წევრს, ბორჯომის საზოგადოების ღირსეულ პიროვნებას და ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტს, ბატონ თედო მელიქიძეს:

● ბატონო თედო, შეგიძლიათ დასკვნის სახით გვითხრათ, რა ეტაპზეა მიწის სისტემური რეგისტრაცია ბორჯომის მუნიციპალიტეტში?

- საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის (№48) დადგენილებით დაიწყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმა.

როგორც ცნობილია, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მიღების მიზნით, დაიყო სამ კატეგორიად და განისაზღვრა მიწის ზღვრული მაქსიმალური ნორმა.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები საკუთრებაში ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე გაიცა.

სამწუხაროდ, ამით არ დამთავრებულა მიწების გაუგებარი და გაუთავებელი რეგისტრაცია.

საქართველოს დღევანდელი მთავრობა იძულებული გახდა საქართველოს მასშტაბით დაწყებულიყო სასოფლო-სამეურნეო სისტემური რეგისტრაცია (2022-2024წ.წ.).

სისტემური რეგისტრაცია არის პროცესი, როდესაც სახელმწიფო საკუთარი ინიციატივით ახორციელებს კონკრეტულ არიალზე მიწის ნაკვეთების აზომვას, დოკუმენტების მოძიებას და არეგისტრირებს საკუთრებას.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში აიზომა ტაძრისის, დვირის, ყვიბისის, ახალდაბის თემი. ამჟამად წაღვერის თემში არიან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები, რომლებიც საველე სამუშაოებს ასრულებენ, ასევე აიზომა ქალაქის გარეუბნები ახალ უბანში და ვაძლოვანის დასახლებაში. რამდენად კარგად და ხარისხიანად მიმდინარეობს სისტემური რეგისტრაცია, ამას მოსახლეობა შეაფასებს, როდესაც სისტემური რეგისტრაცია დამთავრდება და მიიღებენ საჯარო რეესტრიდან ამონაწერებს.

სისტემური რეგისტრაცია დამთავრდება 2025 წლის ბოლოს.

შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, მიწის სისტემური რეგისტრაცია გრძელდება და იმედს ვიტოვებთ, რომ აღარ მოხდება სერიოზული შეცდომები და არც უკმაყოფილო მოქალაქეები გვეყოლებიან.

ყველაფერს ამომწურავად და გასაგებ ენაზე გაეცით პასუხი, ამისათვის დიდი მადლობა. სამწუხაროდ, მოქალაქეები ხშირად მოგვმართავენ კითხვით რედაქციაში, მინდა პასუხი გასცეთ როგორც კომპეტენტურმა პირმა, დასმულ კითხვებს.

სად მოიყვანოთ მოსახლეობისათვის მოსავალი, როცა მთელ რიგ სოფლებში სასოფლო-სამეურნეო მიწები საკურორტო-სააგარაკო ტერიტორიებად გაიყიდა?

- არსებობს საქართველოს კანონი ,,მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ". ეს კანონი აწესრიგებს მიწის მიზნობრივ დანიშნულებასთან დაკავშირებულ საკითხებს, განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კატეგორიებს და მათი ცვლილების წესებს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის პრიციპებს, საქართველოს გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამინისტროს იურიდიული პირის - მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის სტატუსის და მისი საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს, ასევე მოსახლეობას, ვისაც აინტერესებს კანონის მიზანი, კონკრეტულად არის მინიშნებული, რომ მიწის რაციონალური გამოყენებისა და დაცვის უზრუნველყოფა, მიწის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა მკაცრად უნდა იყოს დაცული, რათა სასოფლო-სამეურნეო მიწა მიზნობრივად იყოს გამოყენებული, სახნავი, საძოვარი, სათიბი, მათ შორის მრავალწლოვანი ნარგავებით დაკავებული ან საკარმიდამოს კატეგორიის მიწა, რომელიც გამოიყენება ან რომლის გამოყენებაც შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით. ის კითხვა, რომელიც თქვენ დასვით, სად მოიყვანოს მოსახლეობამ მოსავალი, ეს ეხება სახნავი მიწის კატეგორიას, რომელიც ხშირ შემთხვევაში ირღვევა, ამიტომ დადგა დღის წესრიგში სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდის რეგისტრაციის საკითხი.

● დღეის მდგომარეობით როგორ ხდება სასოფლო-სამეურნეო მიწის კატეგორიის შეცვლა, არასასოფლო-სამეურნეო მიწის კატეგორიად?

სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს ან მის ნაწილს შეიძლება შეეცვალოს მიზნობრივი დანიშნულება, აღნიშნული ცვლილება საჯარო რეესტრში რეგისტრირდება.

ა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ან მისი ნაწილის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილება დასაშვებია - დასაბუთებული საჭიროების შემთხვევაში.

ბ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილება დასაშვებია, თუ დასტურდება, რომ ეს მიწის ნაკვეთი ამ მიზნით არ გამოიყენება და შესაძლებელია მისი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება.

გ) მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების შესახებ დასაბუთებულ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადგილობრივი საჯარო რეესტრის სააგენტო.

დ) მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების საკომპენსაციო თანხა გადაიხდება მხოლოდ მიწის ნაკვეთის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების არასასოფლო დანიშნულების ცვლილების შემთხვევაში.

დღეს სასოფლო-სამეურნეო მიწისთვის არასასოფლო-სამეურნეო მიწის კატეგორიის მინიჭებაზე გადაწყვეტილებას იღებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რომლის ინსტრუქციის თანახმად, მიწის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლის ან შეცვლაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას, სპეციალური კომისიის დასკვნის საფუძველზე, სააგენტოს თავმჯდომარე იღებს.

● ვის აქვს უფლება იყიდოს სააგარაკოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი?

- სათიბის, საძოვრის, სახნავი მიწის ნაკვეთებზე გამორიცხულია, დაუშვებელია, არ შეიძლება სააგარაკოდ ნაგებობების მშენებლობა. მშენებლობა დაიშვება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკადასტრო მიწის ფართობზე საკუთრების უფლებით, საქართველოს მოქალაქეს, კომლს, საქართველოს კანონმდებლობით შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს უფლება აქვს იყიდოს მიწის ნაკვეთები, როგორც სახელმწიფოსგან, ისე კერძო პირისგან, სადაც განაშენიანების გეგმით არის გათვალისწინებული მშნებლობა. (როგორც სააგარაკო ისე საცხოვრებელი სახლი).

● როგორ ხდება უცხოელებზე ნაკვეთის გაყიდვა?

- მიწის დანიშნულების ცვლილება და უცხოელთა საკუთრება სასოფლო-სამეურნეო მიწაზე მარეგულირებელი ძირითადად საკანონმდებლო აქტია, რომლიც 1996 წელს იქნა მიღებული და დღემდე არაერთხელ განიცადა ცვლილება, რომელსაც არეგულირებს საქართველოს ორგანული კანონი ,,სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ". ვისაც აინტერესებს, გაეცნოს ამ კანონის მოთხოვნებს.

● მოქალაქეს აქვს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, ითხოვს სახლის აშენებას, რომლის აშენების უფლება არ აქვს. მას შეუძლია მხოლოდ დამხმარე ნაგებობა ააშენოს?

- სწორი პასუხი უთქვამთ, სამართლიანი პასუხია. დამხმარე ნაგებობისთვისაც შესაბამის სამსახურთან უნდა მოახდინოს შეთანხმება.

დიდი მადლობა ამომწურავი პასუხებისათვის.

წიგნის თარო

საინტერესო ცნობები ბორჯომის ისტორიიდან

ზამთარ-ზაფხულ ბავშვებსა და მოზარდებს საშუალება ჰქონდათ არდადეგები გაეტარებინათ ბორჯომის რაიონის ჯანმრთელ გარემოში, ლამაზ ადგილას, (ცემი, ახალდაბა, ბაკურიანი, წაღვერი, მზეთამზე) ბანაკებსა და სანატორიუმებში.

1952 წელს, ქალაქის მტკვრის მარცხენა სანაპირო გაფართოვდა, მდინარეს კი, რომელიც ხეობაში 45კმ სიგრძისაა, ქალაქის ფარგლებში 500 მეტრის სიგრძეზე ამოუშენდა კაპიტალური საყრდენი კედელი. მოეწყო მონუმენტური მოაჯირები, ტროტუარები. ასეთივე გასამაგრებელი სამუშაოები ჩატარდა ახალი უბნის მიმართულებით.

1970 წელს - მაშინდელ კიროვის ქუჩაზე აშენდა ხუთი შვიდსართულიანი საცხოვრებელი სახლი;

1972-76 წლებში იმავე კიროვის ქუჩაზე - ეკლარის ქვით მოპირკეთებული რამდენიმე შენობა, მათ შორის ადმინისტრაციული შენობა ქალაქის ცენტრში;

1973 წელს - ვაშლოვანში აშენდა საავადმყოფო;

1974 წელს-რკინიგზელთა სანატორიუმი, ფაფაში;

1975 წელს-პანსიონატი ,,პლატო", ხოლო ლიკანში, სასახლის ტერიტორიაზე-შვიდსართულიანი დასასვენებელი კორპუსი;

1976 წელს ქალაქს შეემატა შვიდსართულიანი სასტუმრო ,,თბილისი";

1979 წელს - სანატორიუმი ,,მთის ხეობა" შევიდა ექსპლუატაციაში.

1983 წელს, ბორჯომში, პლატოზე ე.წ. ,,კაკლების ხეივანში" ექსპლუატაციაში შევიდა კომპოზიტორთა შემოქმედებითი სახლი.

1984 წელს ბაკურიანში აშენდა საერთაშორისო ახალგაზრდული ბაზა „მზიური ველი" და მრავალი სხვაა.

სახელოვანი კონდიტერი

ძველ ვიზიტორებს ემახსოვრებათ ბორჯომული საკონდიტრო ნაწარმი ე.წ. **„პეტროსას ნამცხვრები"**. ბორჯომის მკვიდრმა, ჯარისკაცმა-კონდიტერმა **პეტრე პეტროსიანმა** სამამულო ომის გამარჯვებით დამთავრების აღსანიშნავი ბანკეტისათვის ისეთი ტორტით დაამშვენა სუფრა, რომ თვით სტალინიც კი გააოცა. მისი ტორტი ნამდვილი შედევრი ყოფილა - რაიხსტაგის აღების სცენით, მედროშე ქანთარიას და ეგოროვის გამოსახულებით.

პეტრე პეტროსიანმა რამდენიმეჯერ გაიმარჯვა კულინართა და კონდიტერთა კონკურსებში, რისთვისაც მინიჭებული ჰქონდა ოსტატ-კონდიტერის წოდება. მან აღზარდა კონდიტერთა არაერთი თაობა, მათ შორის, კონდიტერი დები - ლუდმილა, მარინა და ანია ბარანოვები, საკონდიტროს მომმარაგებელი იყო **ლოვა ახნაზაროვი,** რომელმაც შემდგომში პეტროსიანის საქმე გააგრძელა და დღეს ეს გუნდი ცნობილია „ლოვას ნამცხვარის" სახელით.

სტიქია, ნგრევა, შენება

ბორჯომი რამდენჯერმე დააზიანა სტიქიამ. დიდი წყალდიდობა 1922 წელსაც მომხდარა. მაშინ მტკვარსაც და ბორჯომულასაც ერთდროულად დიდი ზიანი მიუყენებია კურორტისათვის, მაგრამ მოლოდინს გადააჭარბა1968 წლის, საუკუნის წყალდიდობამ.

ზარალი პირველ რიგში სანაპირო ზოლს მიადგა. დაიტბორა ეზოები, სახლები, 5-6 მეტრით მომატებულმა წყალმა წაიღო ხიდები, მათ შორის, რკინის ფერმებისგან შემდგარი კონსტრუქციები, რომანოვების დროინდელი, ქალაქის ცენტრალური ხიდი, რამაც ბორჯომის ორი ნაწილი (მტკვრის მარჯვენა და მტკვრის მარცხენა) ერთიმეორისაგან იზოლაციაში აღმოჩნდა.

უნდა ითქვას, რომ საკავშირო რესპუბლიკის და ადგილობრივმა ხელისუფლებამ დიდი ორგანიზატორული და ფინანსიური დახმარება გაუწია დაზარალებულ კურორტს და მის მოსახლეობას. წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად ჩაება მოსახლეობა, რადგან სტიქიის მიერ შუაზე გაყოფილი ქალაქი ყველასათვის დიდი პრობლემა გახდა. ქალაქის ერთი ნახევარი მეორეს ვერ ეკონტაქტებოდა.

გადაწყდა, სასწრაფოდ, დროებით მაინც გაებათ თუნდაც ერთი დაკიდული ხიდი, მაგრამ ადიდებულ მდინარეს ყველა ერიდებოდა. არადა, ხიდისთვის, ბაგირი იყო გადასატანი ერთი ნაპირიდან მეორეზე. რამდენიმე ვაჟკაცი, ბაგირით ხელში, შეება კიდეც გამხეცებულ მდინარეს, მაგრამ ამაოდ. ბოლოს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მცხოვრებ ერთ კაცს, რომელიც თავისი მტრედით მარცხენა სანაპიროზე დარჩენილიყო, აზრად მოუვიდა, ამ მტრედისათვის ძაფის გამობმა და მეორე ნაპირზე გაშვება. შემდეგ საქმე ასე წარიმართა: მტრედს, რომელიც უეჭველად გადაუფრენდა მდინარეს, რათა თავის ბარტყებთან მიფრენილიყო, მოაბეს ძაფი. რა თქმა უნდა, იქითა ნაპირზე ამ მტრედს დახვდნენ და ძაფს მოაბეს თოკი, თოკს - მავთული, მავთულს - უფრო მსხვილი ბაგირი და ასე გაჭიმეს „კონწიალა ხიდის" ბაგირები.

ცნობილია, თუ რა უმძიმესი წლები იყო საქართველოსთვის პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით 90-იანი წლები.

და სწორედ ამ დროს, როდესაც მოსახლეობის ფიზიკური გადარჩენისათვის მიმდინარეობდა ბრძოლა, ბორჯომის იმდროინდელმა გამგებელმა და პარლამენტის წევრმა ჯუმბერ კურტანიძემ გადაწყვიტა არსებული „კონწიალა ხიდის" ადგილზე ნამდვილი, მდგრადი, ვანტური ხიდის შენება. ამ მიზნით, მან მოიწვია საქართველოში ცნობილი კონსტრუქტორპროექტანტები.

ბორჯომულმა სამშენებლო ორგანიზაციამ (დირექტორი **ვახტანგ კაპანაძე**) წარმატებით დაასრულა მშენებლობა. ეს მშენებლობა ფაქტიურად სიმბოლური ფასი დაჯდა, რაც მთლიანად ბატონ **ჯუმბერ კურტანიძის** პირადი ავტორიტეტის დამსახურებაა.

მადლიერმა ბორჯომელებმა მტრედს ძეგლი აუგეს. მტრედი გამოაქანდაკა დამსახურებულმა რაციონალიზატორ-გამომგონებელმა, ხელმარჯვე **ვლადიმერ ტიგიშვილმა.**

მარიკა გელაშვილი

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. გაზეთი „ბორჯომი" №45,46, 47, 48, 49, 50 2024წ.

ვულოცავთ!

დიდებული პოეტის, ტარიელ ხარხელაურის დაბადების დღეა!



გულწრფელად ვულოცავთ დიდებულ პოეტს და სამშობლოს ერთგულ გულშემატკივარს დაბადების დღეს - **ბატონ ტარიელ ხარხელაურს დაბადების დღეს!** რომელთანაც გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციის კოლექტივს დიდი ხნის პირადი ურთიერთობა, პატივისცემა და სიყვარული აკავშირებს, რაშიც უდაოდ დიდი დამსახურება მიუძღვით წაღვერის კულტურის სახლის დირექტორს, ქალბატონ **დალი ქასაშვილსა** და წაღვერის საჯარო სკოლის ყოფილ პედაგოგს და ჩვენი ერთგული ჟურნალისტის, **მონიკა ჭანტურიას** თაოსნობით მოწყობილ მეტად საინტერესო და შინაარსიან შეხვედრას, რაც ჩვენთვის ნამდვილად დაუვიწყარია.

ბატონი ტარიელი ბედკრული სამშობლოს ერთგული და უღალატო მომღერალია, მისი დონის პოეტი დღევანდელ საქართველოში თითზე ჩამოსათვლელი თუ შემოგვრჩა.

დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ, ერთგული გულშემატკივრები მისი ლექსებით მომავალშიც დავმტკბარიყავით. ბატონი ტარიელი ქართული პოეზიის ნამდვილად ჩაუქრობელი ვარსკვლავია.

გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციის კოლექტივი

გთავაზობთ ბორჯომელი პოეტის, ნათია ჯიქურაშვილის ლექსს, მიძღვნილს ბატონ ტარიელ ხარხელაურისადმი

ამ გულზე ყვავი და ყორანი
გეხვევა და ყოფაც მეხია,
რთულია, რომ იყო მგოსანი,
სამყაროს შეხედო ერთიანს.
ხანდახან გადმოდის ცის თაღიც
და თვალზე გადგება ცრემლებად,
სამშობლოს შენ ჰყავხარ ის კაცი,
რომელსაც მუდამ ეშველება...
იქცევი თუნდ სიტყვის მალამოდ,
ირგვლივ ხომ ქარი და შფოთია,
და მერე ტკივილებს გააპობ,
დარდებთან ფიც-ვერცხლით მოდიხარ...
სიკვდილი გიქარგავს მკერდზე თუ
სიცოცხლის ათასფერ ყვავილებს,
მჯიღს ირტყამ და ცაში უცქერ სულ,
იქ წასულ ერთადერთ საფიცეს!
მერე კი კალამში სისხლია
ისევ მონატრებით ნალესი,
დრო მიდის, უფსკრულის პირია,
ეს გული, ეს მზერა, თვალები...
მუხის წადილებით მოჰგმინავ
და თუ სვამ შენს კუთვნილ საწუთროს,
ზოგჯერ ის აჩრდილი მგონიხარ,
ილიამ რომ უთხრა სამშობლოს!
რთულია რომ იყო მგოსანი,
შეხედე სამყაროს ერთიანს,
რომ სიტყვის მადლით და ოსანით,
სამშობლო გარდმოხსნა მკერდიდან.

11 დეკემბერი, 2024წ.



ყველაზე ლამაზო, ჭკვიანო, პრინცესულო გოგონავ, ბედნიერი 2025 წელი უნდა დადგეს შენთვის. ბევრი პოზიტივი იოცნება შენმა სანტამ და უპირობოდ უნდა აგიხდეს ყველა.

P.S. როცა დაბერდები, შვილიშვილებს შეგიძლია მოუყვე, რომ შენზე ბეჭდურ მედიაში იწერებოდა.

მალე შევხვდებით.

შემოდგომის გაცილება

„ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანების“ სოფელ ქვაბისხევის ბიბლიოთეკამ და კლუბის თანამშრომლებმა მშვენიერი ღონისძიება ჩაატარეს, რომელიც შემოდგომის გაცილებას მიეძღვნა, ღონისძიებას ბიბლიოთეკარი **ქეთევან სარალიძე** და კლუბის გამგე **ალა მაისურაძე** უძღვებოდნენ.

სცენა მოწყობილი იყო ყვითელი ფოთლებით, ნახატებით, შემოდგომის უამრავი ხილით, ხავსით, საყვარელი პატარა ურმით. კლუბის გამგე და ბიბლიოთეკარი ბავშვებთან ერთად აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას ბრწყინვალე საღამოს მსვლელობაში. განსაკუთრებული ადგილი დაიკავა პოეზიამ, მუსიკალურმა და იუმორისტულმა ნომრებმა. ულამაზესი ჩაცმულობით გამოირჩეოდნენ საბავშვო ბაღის აღსაზრდელები, რომლებიც ცეკვავდნენ, მღეროდნენ, აფრქვევდნენ ირგვლივ სითბოსა და სიყვარულს. კლუბი გავსებული იყო მაყურებლით, რომლებმაც დიდი სითბო და სიყვარული გააყოლეს სტუმრებს.

დასასრულს პატარებმა წარმოადგინეს სპექტაკლი „ნაცარქექია“.

აი, ის პატარები, რომლებმაც ღონისძიება გაალამაზეს: **იოანე და მიხეილ კალანდაძეები, ანასტასია, ლუკა, დავით, ნატა, ლენა ხაჭაპურაძეები, თინათინ, ლუკა მაისურაძეები, ირაკლი გოგიჩაიშვილი, ანასტასია გელაშვილი.**

სოფელ ქვაბისხევს სტუმრობდა ბორჯომის, კულტურისა და ხელოვნების ცენტრის, საბიბლიოთეკო გაერთიანებისა და ტაძრისის ბიბლიოთეკის თანამშრომლები. მაყურებელიც კმაყოფილი დარჩა და მოწვეული სტუმრებიც.

ქვაბისხევში ჩქეფს სიცოცხლე, ახალგაზრდობაც აქტიურია და ეს ყველაფერი ძალზე სასიხარულოა.

მადლობას ვუხდით ღონისძიების ორგანიზატორებს, მონაწილეებს, მშობლებსა და მაყურებლებს. მრავალი ასეთი საღამოების და აქტივობების ჩატარებას ვუსურვებთ ბორჯომის მუნიციპალიტეტს.

ნანული სალაღაია,
ღონისძიების კოორდინატორი.

გინდევთ კონკურსზე!

„ბორჯომის ზღაპრული ფერები“

ამ დევიზით ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის განყოფილება, გაზეთ „ბორჯომის“ რედაქცია და საზოგადოება „ბორჯომელები“ აწყობენ გამოფენას დევიზით „ბორჯომის ზღაპრული ფერები“.

მხატვრული ნიჭით დაჯილდოებულებს ვთხოვთ კულტურის განყოფილებაში ან რედაქციაში წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები (ფოტო, ფერწერული ტილო და ა.შ.) მიძღვნილი დევიზის თემაზე.

გამოფენა მოეწყობა კულტურისა და ხელოვნების ცენტრში.

სპეციალური ჟიური საუკეთესო ნამუშევრების ავტორებს წაახალისებს.

საინიციატივო ჯგუფი.

რაზე აცხობენ ბარბარობის დღესასწაულზე ლობიანებს - ეს ბევრმა არ იცის!

17 დეკემბერს ქრისტიანული ეკლესია ბარბარობის დღესასწაულს აღნიშნავს. წმინდა ბარბარე სარწმუნოებისთვის IV საუკუნეში აღესრულა - მას თავისმა საკუთარმა მამამ, წარმართმა თავადმა დიოსკორემ თავი მოკვეთა. წმინდანის წმინდა ნაწილები კიევში, ვლადიმირის ტაძარში განისვენებს და მისგან სასწაულები დღესაც აღესრულება. წმიდა ქალწულმოწამე ბავშვების მფარველად ითვლება, ამას გარდა მას ყრმათა კურნებისთვის, შვილიერებისა და მოულოდნელი უზიარებელი სიკვდილისგან დაცვისთვისაც ევედრებიან.

ქალწულმოწამე ბარბარე საქართველოში განსაკუთრებულად უყვართ. ამ დღესთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა ხალხური ტრადიცია, რომლის მიხედვით ოჯახებში მეკვლეს იღებენ და ლობიანებს აცხობენ. მაინც საიდან მოდის ეს ტრადიცია და აქვს თუ არა მას ქრისტიანობასთან კავშირი?

აღსანიშავია, რომ ბარბარობა საქართველოში წინაქრისტიანული ხანის წარმოდგენებსაც შეიცავს. ქართველები ბარბოლს, ბარბლაშის (სვანეთი) და ბარბალეს სახით თაყვანს სცემდნენ ამავე სახელწოდების წინაქრისტიანული მზის ადგილობრივ ღვთაებას. ქართველებს იგი წარმოდგენილი ჰყავდათ როგორც ქალების, ფურების და საერთოდ ბუნების ნაყოფიერების დედური ძალების მფარველი ასტრალური ქალღვთაება. ეს დღეობა ითვლებოდა ზამთრის მზის ბუნიობის დღეობად.

ღვთაება ბარბალეს ატრიბუტებს წარმოადგენდა წრიული საგნები - რკინისა თუ მწვანე რტოებით დამზადებული წრეები, კვირისტავები, გვირვინი და სხვა. მისდამი პატივსაცემად დღესასწაულზე აცხობდნენ მზის დისკოს ფორმის ღვეზელებს.

ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ ღვთაების მდედრობითი სქესისა და სახელთა დიდი მსგავსების გამო, რიგითი მორწმუნეების გარკვეულ ნაწილში მოხდა ორი სუბიექტის - დიდმოწამესა და წარმართული ღვთაების გაიგივება. ამის გამო წმ. ქალწულმოწამე ბარბარეს დღესასწაულზე აცხობდნენ ბარბალესადმი მიძღვნილ ღვეზელებს. ვინაიდან ქალწულმოწამე ბარბარეს ხსენება აღინიშნება შობის მარხვაში, ღვეზელიც სამარხვო მზადდებოდა, თუმცა, ცხადია, არა ლობიოს შიგთავსით. ლობიო ევროპასა და საქართველოში მხოლოდ XVI საუკუნეში გაჩნდა და ლობიანიც სწორედ ამ დროიდან გახდა პოპულარული, განსაკუთრებით მარხვაში.

ასე რომ, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ლობიანის ცხობა წმ. ბარბარეს დღეს წარმართული ტრადიციაა და ქრისტიანულ რელიგიასთან კავშირში არაა.

მიმდინარეობს თოვლის გაწმენდითი სამუშაოები

ბორჯომის მუნიციპალიტეტში გზების გაწმენდა მიმდინარეობს, იყრება ტექნიკური მარილი ამ დროისათვის თოვლისაგან გაიწმინდა ცენტრალური გზები.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში მოსული უხვი ნალექის გამო დილიდან გზის გაწმენდითი სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს. მობილიზებულია მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური და სპეცტექნიკა.

თოვლისაგან იწმინდება სოფლებთან მისასვლელი გზები.

ჯუნგლი ქართველიშვილის ხსოვნას

ჩემი ძმის მონატრება

დაბადების დღეს გილოცავ ამერიდან იმ სამყაროში, რომელსაც მარადისობის სასუფეველი ქვია, ჩემო მონატრებულო, საყვარელო ძმაო, ჯუნგლი. გაუსაძლისია შენი მონატრება.

„მენატრები ჩემო ძმაო, მენატრები,
ყოველი დღე ჩემთვის ძალზე ძნელია,
არ არსებობს ნამი, წუთი და საათი,
შენი სახე თვალწინ მიდგას მუდამ“.

ძმაო, როცა ამ წერილს ვწერ, ასე მგონია, შენ გესაუბრები. შენ ჩემი დიდი იმედი და საყრდენი იყავი. 24 დეკემბერი შენი დღეა. 78 წლის გახდებოდი, ცრემლით და ანთებული სანთლებით გილოცავ. მშვიდად განისვენე ჩვენ საყვარელ დედასთან ერთად, მე კი, სანამ სული მიდგას, თქვენთვის ვილოცებ, დაგინთებთ წმინდა სანთლებს და შევთხოვ უფალს, ნათელი და სანთელი არ მოკლებოდეს თქვენს წმინდა სულს, ამინ!

თქვენი ქეთინო
6.12.24

ჩვენს მკითხველებს!

ბორჯომი

დაიწყო ხელმოწერა გაზეთ „ბორჯომზე“ 2025 წლისათვის.

შეგახსენებთ, რომ გაზეთი „ბორჯომი“ ერთგულად და უღალატოდ დგას თქვენს სამსახურში. არის თქვენი ერთგული მრჩეველი, მეგობარი და გულშემატკივარი.

გაზეთი მკითხველის გარეშე არ არსებობს, ამიტომ მოგიწოდებთ, არ დარჩეთ გაზეთის გარეშე, რომელშიც ქვეყნდება ობიექტური და სანდო ინფორმაციები, თუ გინდათ, გაზეთი შინაარსობრივად უფრო საინტერესო გახდეს, მოგვწერეთ თქვენი შეხედულებები რაიონში მიმდინარე აქტუალურ პროცესებზე, გაზეთში გამოქვეყნებულ წერილების ავ-კარგზე, რომელი მოგეწონათ, რომელმა ვერ დააკმაყოფილა თქვენი ინტერესი, მომავალში რომელ თემაზე გავამახვილოთ ყურადღება. თქვენს რჩევა-შენიშვნებს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

გაზეთ „ბორჯომს“ პრესის გამავრცელებლები ბინაზე მოგართმევენ. მთელი წლით გაზეთის გამოწერის ღირებულება 20 ლარია. უსაშველოდ გაძვირებული პოლიგრაფიული მომსახურების მიუხედავად, რედაქციას არ გაუზრდია გაზეთის ღირებულება.

განათავსეთ თქვენი რეკლამები, განცხადებები, მილოცვები, ყველა საჭირო ინფორმაცია, რომელიც ემსახურება თქვენი კომპანიის წინსვლას.

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ პრესის გამავრცელებლებთან და რედაქციაში

ჩვენი მისამართია: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ. №2. ტელ. 22-29-65; 555 236 975.

მოგიწოდებთ, გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „ბორჯომი“, რათა იყოთ ბორჯომის მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესების საქმის კურსში.

გაზეთ „ბორჯომის“ რედაქცია

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს,
რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იბეჭდება: თბილისი, ე. ბაღდავაძის №20.
WWW. colorgroup.ge
borjomipress9@gmail.com
რედაქტორი: ვალერიან ლომიძე
კორექტორი: ნანა კევლიშვილი